ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2751190

ნომერი: AR1425871

თარიღი : 27.07.2016

გაცემის თარიღი : 03.08.2016

გაცნობის თარიღი : 03.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი თავისუფლება , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მგელაძე პ/ნ 01005011364
- თბილისი ლ.პასტერის ქ. N 1ა

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,შერ''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404431762
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ,,შერ'' დირექტორი იციკ მოშე - მინდობილი პირი გიორგი მგელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005011364

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კახაბერ დეკანოიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:

- დამკვეთის ველში მითითებული უნდა იქნას შპს "შერის" ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (თქვენს მიერ მითითებულია დირექორის მინდობილი პირი);
- არ არის წარმოდგენილი გენგეგმა საკადასტრო საზღვრებით და ყველა საპროექტო არეალის ზუსტი საზღვრების ჩვენებით. ასევე, ნახაზებზე (გეგმა, ჭრილი, ფასადი) მითითებული უნდა იქნას საკადასტრო საზღვრები. იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული სამუშაოები სცდება საკადასტრო საზღვრებს წარმოდგენილი უნდა იქნას ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა, ხოლო ღია კაფის მოწყობასათან დაკავშირებით განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში. იმ შემთხვევაში, თუ ღია კაფის მოწყობა ხდება საკადასტროს საზღვრებში გეგმებზე ნაჩვენები უნდა იქნას მაგიდა-სკამები;
- მოთხოვნის ტექსტში მითითებულია უკანა ფასადის შეღებვა. არქიტექტურულ პროექტში სრულფასოვნად არ არის ასახული უკანა ფასადზე დაგეგმილი სამუშაოები;
- განმარტებით ბარათში დეტალურად იქნეს განმარტებული იმ ფართების/ტერიტორიების საკუთრების საკითხი, სადაც დაგეგმილია ყოველი კონკრეტული სამუშაო. ამასთან, ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ფართზე/კედელზე/ტერიტორიაზე სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ფართის საკუთრების შესახებ და მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.016წ. N14-39 დადგენილების თანახმად, "დასაშვებია მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-დან 4.5 სიმაღლეზე დროებითი მსუბუქი კონსტრუქციების, ფარდულების, ტენტების, მარკიზების შეჭრა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საყრდენი სვეტების მოწყობა ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ტროტუარის ფუნქციონირებას. ამასთანავე ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ასეთ არქიტექტურულ ნაწილებამდე, მათ შორის საყრდენ სვეტებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასავლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 1.2 მ.". აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იქნეს მოთხოვნების შესაბამისად შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს გენგეგმა/გეგმა საკადასტრო საზღვრებისა და შესაბამისი მანძილების ჩვენებით. ამავე დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა საჩრდილობლის საზოგადოებრივ სივრცეში მოწყობასთან დაკავშირებით;
- შშმ პირთა გადაადგილებისათვის განკუთვნილი პანდუსის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს მთაავრობის 06.01.14წ. N41 დადგენილების "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" მე–5 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები. ნახაზებზე დატანილი იქნეს შესაბამისი ზომები და დახრა;
- არ არის მითითებული ფასადზე ფოლადის გვარლის (ტროსების) მიმაგრების ნიშნული;

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.